



სსიპ შოთა რუსთაველი ს  
საქართველოს ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი

7 ივნისი 2024

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 89

**2024 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია - „ქალები მეცნიერებაში“ - განსაკუთრებული მიღწევებისათვის ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის მიმართულებით კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის დამტკიცების შესახებ**

„2024 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია - „ქალები მეცნიერებაში“ - განსაკუთრებული მიღწევებისათვის ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის მიმართულებით დაწესების და კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 12 მარტის N25 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2024 წლის 7 ივნისის N636688 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - „ქალები მეცნიერებაში“ - განსაკუთრებული მიღწევებისათვის ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის მიმართულებით კონკურსში გამარჯვებული კანდიდატი შიფრით: WST-24-017.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული გამარჯვებული კანდიდატისთვის დაწესებული ფულადი პრემიების გადაცემა.
3. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინმდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების გაცნობა ფონდის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტისთვის და მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურისათვის.
5. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი